“ლამაზის” იარლიყი – საიმედოზე

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 3 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ქაირათი” (ალმა–ათა) 2:0 (0:0).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, კანთელაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, გ. მაჩაიძე (დარასელია), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ჩელებაძე, კოპალეიშვილი.

“ქაირათი”: ორდაბაევი, ალტუხოვი (ჩებოტარიოვი), ტალგაევი, ბაიშაკოვი, კისლიაკოვი, შევჩუკი, ბურდიევი, ლიხოშერსტნიხი, მაზმანიანი, იონკინი, ევდოკიმოვი (ნოვიკოვი).

მსაჯი: ვ. ლუშინი (მოსკოვი).

დუბლიორები – 21:0. გოლები გაიტანეს გოგოლაძემ და ბაზაზაშვილმა.

მატჩის დასასრულამდე კარგა დრო იყო დარჩენილი, როცა “ქაირათმა” ფაქტიურად ხელი აიღო ბრძოლაზე. უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად (ეჭვი არ არის, სწორედ ამ ამოცანას ისახავს პირველი ლიგიდან ახალმობრუნებული გუნდი) ყოველი ქულა მართლაც აუწონელია, მაგრამ 47–ე წუთზე გაშვებულმა გოლმა ერთობ საეჭვო სურვილადაც აქცია ეს ქულა. არადა ასეთი შესაძლებლობა თამაშის დაწყებამდე საკმაოდ ხელშესახებად ჩანდა – ხინჩაგაშვილის, ყიფიანისა და შენგელიას არყოფნა, რბილად რომ ვთქვათ, საგრძნობი დანაკლისია თბილისის “დინამოსთვის”. კუიბიშეველებთან მატჩში დაშავებულ მანუჩარ მაჩაიძესაც, როგორც ჩანს, ძალაუნებურად მოუწევდა სამოქმედო დიაპაზონის შემცირება.

“ქაირათმა” პირველი წრე თხუთმეტი ქულით დაამთავრა (ორმოცდაათი პროცენტი). ზუსტად ისეთივეა მეორე წრის გრაფიკიც – 12 შესაძლებლიდან 6 გუნდი მატჩების უმრავლესობას არც თუ ისე აგრესიულად, მაგრამ საკმაოდ სოლიდურად თამაშობს. საინტერესოა ისიც, რომ ყაზახი ფეხბურთელები ბევრი კოლექტივისგან განსხვავებით თამაშის ეგრეთწოდებულ “საგარეო მოდელს” იშვიათად მიმართავენ. ამან და თბილისელთა შესუსტებულმა შემადგენლობამაც განაპირობა ის, რომ “ქაირათმა” სამი ფორვარდით დაიწყო მატჩი.

როგორც მოსალოდნელი იყო, და ალბათ არც ალმაათელებს ჰქონდათ რაიმეზე ილუზიები ამის თაობაზე, ტონის მიმცემი “დინამო” გამოდგა. თბილისელები ორი თავდამსხმელითა (გუცაეი, ჩელებაძე) და ოთხი ნახევარმცველით შეუდგნენ საქმეს. სხვა მატჩებისგან განსხვავებით ორს – კოპალეიშვილსა და გოჩა მაჩაიძეს საგანგებო მისია დაეკისრათ. კოპალეიშვილი მინდვრის ცენტრში დინამოელთა კაპიტანს ამოუდგა მხარში, გოჩა მაჩაიძეს ნახევარდაცვისა და თავდასხმის მარცხენა ფლანგი უნდა შეევსო. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მოვალეობას ორივემ მშვენივრად გაართვა თავი.

ეს ტაქტიკური ჩანაფიქრი კარგა ხანს გამოუცნობი დარჩა “ქაირათის” შტაბისთვის. შედეგი ერთობ არასახარბიელო გამოდგა: ნახევარმცველთავდამხმელის რეიდებმა სრულიად მიმალა ალმაათელთა დაცვის მარჯვენა ფრთა (ალტუხოვის ჩებოტარიოვით შეცვლამ საქმეს ვერ უშველა). ჯერ იყო და თვითონ გოჩამ შეუქმნა თანაგუნდელებს კარის აღების არა ერთი და ორი მომენტი, მერე კი იმავე ფრთიდან დაწყებულ იერიშებს მოჰყვა პენალტიცა და დარასელიას უზადო გადაცემაც, ქორიძემ ორ გოლად რომ აქცია.

დინამოელთა საერთო უპირატესობის საკითხი კი ნახევარდაცვის ცენტრში გადაწყდა. “ქაირათმა” მინდვრის ცენტრიცა და მანუჩარ მაჩაიძის მეურვეობაც ბერდიევს (გუნდის ერთ–ერთი ბომბარდირი) ანდო, რაც თბილისელთა წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავდა – მანუჩარმა ბოლომდე “თავისთან დაიტოვა” ალმაათელთა ორგანიზატორი და უაღრესად რაციონალური თამაშით ყველა პირობა შეუქმნა უმეთვალყურეოდ დარჩენილ კოპალეიშვილს რაც შეიძლება აქტიური მოქმედებისთვის.

ალბათ აუცილებელი არ არის ამ მატჩის რაღაც გამორჩეულ მონაკვეთებად გადაწევრება. ოსტატობითა და მონდომებით გამაგრებული ტაქტიკური ჩანაფიქრი “დინამომ” მეთოდურად აქცია გამარჯვებად. და მაინც, პირველმა გოლმა ერთგვარად გამიჯნა ორივე ტაიმი. საკუთარ მინდორზე სამი “ყაიმის” ფსიქოლოგიური ტვირთი ორმოცდამეშვიდე წუთზეღა მოეხსნათ ფეხბურთელებს და გუნდიც უფრო ლაღად ათამაშდა.

ერთი მომენტიც: ბოლო ხანებში ჩვენები მაინცდამაინც ვერ დაიტრაბახებენ კომბინაციების მრავალფეროვნებითა და სიუხვით (ვგულისხმობ ივლისისა და აგვისტოს მატჩებს – იმ თვეებისას, ამ რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისელთა შედარებით სუსტი თამაშის პერიოდად რომ იქცა). ამ თვალსაზრისით “ქაირათთან” შეხვედრა უთუოდ გამოსარჩევია.

და ბოლოს რამდენიმე სიტყვა წლევანდელი სინჯის თბილისის “დინამოს” ერთ დამახასიათებელ და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვან ნიშანზე.

გარდასახვა ჩვენს თვალწინ მოხდა, მაგრამ როგორღაც შეუმჩნევლად გადაუხვია გუნდმა ძველ გზას, როგორღაც შეუმჩნევლად მიგვაჩვია იმ აზრს, რომ მეტოქის მინდორზეც შეიძლება ქულების დაგროვება.

ეს ყველაფეარი ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ თორმეტი წლის მანძილზე გუნდი მოკრძალებით შესცქეროდა უმაღლეს კვარცხლბეკს – მარტო სურვილი ხომ ბევრი ვერაფერი მოკავშირეა. გულახდილად რომ ვთქვათ, შარშანდელი ორი მინიჩემპიონატიც ვერ წაუვა ასეთ შეფასებას, მაგრამ ის მაინც ერთგვარი გარდატეხის ეტაპი იყო და გამართლებაც აქვს: ახალ გზებზე სასიარულოდ ახალი რესურსები იყო საჭირო. ამ, არა ერთი და ორი საფეხბურთო კომპონენტისგან შემდგარ მასალას კი თაროებზე ჩამორიგებულს ვერსად ნახავ, რომ ხელის ერთი მოსმით ჩაუძახო გუნდის ყულაბაში. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მთელი თავისი რამდენიმე თვის მონაგარი "დინამომ" თასისთვის ბრძოლას შეალია.

სავსებით შესაძლებელია, რომ სანუკვარი მიზანი წლეულსაც მიუღწეველი დარჩეს – განა საჩემპიონო კოლექტივის შექმნას 2–3 წელიწადი მაინც სჭირდება?

და მაინც, დღევანდელ "დინამოს" სულ სხვა ნიშანი ადევს – გუნდმა ისწავლა ბრძოლა!

მახსენდება წინა წლების რეპორტაჟები, მოსკოველ, კიეველ თუ ლენინგრადელ რადიოკომენტატორთა სიტყვები: თბილისელებმა ლამაზი, ტექნიკური თამაშით მაყურებლის სიმპათია დაიმსახურესო. სწორედ იმ წუთებში კი ჩვენები ორი, სამი ან სულაც ხუთი ბურთით აგებდნენ.

დღეს ამგვარი ცალმხრივი ქათინაურები საკმაო იშვიათობაა. პირველყოვლისა კი იმიტომ, რომ გუნდმა მართლაც ისწავლა ბრძოლა.

იქნებ უცნაურიც იყო, მაგრამ საამისო მაგალითს კიევის მატჩს დავესესხები. ის თამაში წავაგეთ. მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც. ეს არ იყო მინდორზე "ლამაზი" ფეხბურთის საჩვენებლად გამოსული, იმთავითვე დასამარცხებლად განწირული გუნდი. 90 წუთის განმავლობაში ბიჭები თავდავიწყებით, შეუპოვრად იბრძოდნენ. ამ სიტყვის თითქმის პირდაპირი გაგებით. მთელი ის საათ-ნახევარი თბილისის "დინამო" ერთხელაც არ შემკრთალა, ერთხელაც არ გაუხსენებია აგრერიგად ნაცნობი პრინციპული შეხვედრების ძველი სენი. რატომღაც იმ წაგებული მატჩის შემდეგ ვირწმუნე გუნდის ძალაცა და შემართებაც, მისი ხვალინდელი დღე.

ჯერ კიდევ ბევრი მოუგვარებელი საქმე აქვს "დინამოს", ბევრი სინჯი სდევს მის თამაშს, მაგრამ ერთი კია – გუნდმა "ლამაზის" იარლიყი საიმედოზე გაცვალა, რომანტიკოსისა – რეალისტურზე. ფასეულობათა გადაფასება დროული და სწორია იმიტომაც, რომ თანამედროვე სპორტში გამარჯვება მხოლოდ საღად მოაზროვნეთა და შეუპოვართა ხვედრია.

არ გამოვუდგები წიგნზე თუ სპექტაკლზე დაწერილ ზოგიერთი რეცენზიის ავტორს, ვერც "ჰოს" რომ გაბედავს, ვერც "არას". ბოლოს კი კარგა მოზრდილ კითხვის ნიშანსაც შეაჩეჩებს მკითხველს და წლევანდელი ჩემპიონატის საბოლოო შედეგების მიუხედავად, ამ სიტყვების ღირებულების მიუხედავად, მაინც ვიტყვი:

მე მომწონს ეს გუნდი…

3 სექტემბერს თბილისის "დინამომ" ბოლოს და ბოლოს თავი დააღწია მდევრის როლს, ახლა ის კიეველ თანაკლუბელებთან ერთად შეუყვება აღმართს, რომელიც რამდენადაც საპატიოა, იმდენად მძიმე და მომქანცველიც არის. ეს კარგად ესმით მწვრთნელებსაც, ფეხბურთელებსაც და გუნდის ათასობით გულშემატკივართაც.

ი. ბერიაშვილი.
"ლელო", 6 სექტემბერი, 1977 წ.